საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. კ.

საჩივრის ავტორის თარჯიმანი: ა. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.02.2018

საჩივრის რეგისტრაციის #015/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ, სიითი #1562

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 16 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორმა - ი. კ.-მ 2016 წლის 20 ივლისს ადვოკატ ნ. კ.-ს სახელზე გააფორმა მინდობილობა, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მისი საქმე მემკვიდრეობის გზით ქონების მიღების თაობაზე. შეთანხმების შესაბამისად, საქმის წარმოების დაწყებამდე, ი. კ.-მ ადვოკატს ჰონორარის სახით გადაუხადა 1000 ლარი და თავის მხრივ, ადვოკატმა განაცხადა, რომ საქმისწარმოებისთვის მას არ

დასჭირდებოდა სასამართლოსთვის მიმართვა და საქმეს დაასრულებდა 3 თვის ვადაში, თუმცა რამდენიმე თვის გასვლის შემდგომ, ადვოკატმა ი. კ.-ს განუცხადა, რომ საჭირო იყო მიემართათ სასამართლოსთვის, რისთვისაც მოითხოვა დამატებით, 220 ლარი, რაც 2016 წლის 28 ნოემბერს ი. კ.მ ჩაურიცხა ადვოკატს.

1.3 საჩივრის ავტორი 2017 წლის 17 მაისს ადვოკატთან შეხვედრის მიზნით, ჩავიდა ქუთაისში. ადვოკატმა ნ. კ.-მ შეხვედრისას ი. კ.-ს განუცხადა, რომ მან შეასრულა შესაბამისი იურიდიული მოქმედებები, თუმცა ის ელოდებოდა საქმის თაობაზე „პასუხს 2 კვირის შემდგომ“ და თუ ეს პასუხი არ იქნებოდა, მაშინ ის დაუბრუნებდა 1220 ლარს. 2 კვირის გასვლის შემდგომ, საჩივრის ავტორი კვლავ ჩავიდა ქუთაისში იმ მიზნით, რომ შეეწყვიტა ადვოკატთან ურთერთობა და დაებრუნებინა მისთვის გადაცემული დოკუმენტები და ჰონორარი. შეხვედრისას, ადვოკატმა ნ. კ.-მ უარი განაცხადა დოკუმენტებისა და ჰონორარის დაბრუნებაზე და ხელწერილით დაადასტურა, რომ 2017 წლის 30 დეკემბრამდე ის საქმისწარმოებას დაასრულებდა, ამასთან, ადვოკატის მოთხოვნის შესაბამისად, ი. კ.-მ მას გადასცა საქმის მასალები ორიგინალის სახით, რისი მიღებაც ადვოკატმა ასევე დაადასტურა ხელწერილით.

1.4 2018 წლის 03 იანვარს საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ადვოკატ ნ. კ.-ს, რომელმაც უთხრა, რომ ყველაფერი მოაგვარა სასამართლოს გარეშე და შეუძლია ქუთაისში ჩავიდეს მასთან, როცა ის ეტყვის. აღნიშნული საუბრის შემდგომ, ადვოკატი აღარ პასუხობდა ი. კ.-ს სატელეფონო ზარებს, რის შემდგომაც ი. კ. კვლავ ჩავიდა ქუთაისში ადვოკატის ნახვის მიზნით, თუმცა მასთან დაკავშირება და შეხვედრა ვერ შეძლო.

1.5 საჩივრის ავტორმა ადვოკატის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი ზეპირი ახსნა-განმარტების შემდგომ, კომისიაში წარმოადგინა განცხადება და გამოთქვა ადვოკატთან მორიგების სურვილი და მიუთითა თავისი საბანკო რეკვიზიტები ადვოკატისთვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების საზღაურის ჩარიცხვის მიზნით, თუმცა მისთვის ადვოკატს ჰონორარი არ დაუბრუნებია.

1.6 საჩივრის ავტორმა 2019 წლის 30 ივლისს ეთიკის კომისიის სხდომაზე, ადვოკატ ნ. კ.-სგან მიიღო საქმის მასალები სრულად, რაც იყო ი. კ.-ს ერთ-ერთ პრეტენზია კომისიისთვის ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ საჩივრით მომართვის დროს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 12 ივნისს ადვოკატმა ნ. კ.-მ წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, 2016 წელს მას მიმართა ი. კ.-მ საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, რაც ეხებოდა საცხოვრებელი ბინის ი. კ.-ს საკუთრებაში დარეგისტრირების საქმეს. ადვოკატის განმარტებით, ი. კ.-მ მის სახელზე გააფორმა მინდობილობა და გადასცა ჰონორარის სახით 1000 ლარი.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ი. კ.-ს სურდა იმ საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების მოპოვება, რომელსაც მისი მამა, ადრე როგორც სამხედრო მოსამსახურე ისე ფლობდა. აგრეთვე, დაზუსტებას საჭიროებდა - იყო თუ არა თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ბინა. ადვოკატი ი. კ.-ს შეუთანხმდა, რომ შესაძლოა, სასამართლოსთვისაც მიემართათ, თუმცა ადვოკატის მიერ საქმის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ უდავო წარმოების წესით სასამართლოს ვერ მიმართავდნენ. აღნიშნული საკითხების დაზუსტებას გარკვეული დრო დასჭირდა და ი. კ.-ს მიერ ადვოკატ ნ. კ.-ს სახელზე გაცემულ 2016 წლის 20 ივლისის მინდობილობასაც ვადა გაუვიდა. ამის

შემდგომ, ი. კ.-მ ადვოკატის სახელზე გააფორმა ახალი მინდობილობა 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. ადვოკატმა 2017 წლის 25 ოქტომბერს ხელწერილით დაადასტურა, რომ ის იღებდა ვალდებულებას, რომ დაუბრუნებდა ჰონორარს საჩივრის ავტორს იმ შემთხვევაში, თუ მინდობილობის ვადის ფარგლებში ვერ მოახერხებდა საქმის დასრულებას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის ადასტურებს, რომ საქმის საჭიროებიდან გამომდინარე 2017 წლის 15 დეკემბერს ი. კ.-მ მას გადასცა საქმის მასალები ორიგინალის სახით, რა დროსაც მათ შეადგინეს დოკუმენტების მიღება-ჩაბარების აქტი. იმის შემდგომ, რაც ადვოკატ ნ. კ.-სგან ი. კ.-მ შეიტყო, რომ სასამართლოსთვის მისი საქმის თაობაზე მიმართვა ვერ მოხდებოდა, ადვოკატს აღარ გაუგრძელა მინდობილობის ვადა. ადვოკატის განცხადებით, ის თავდაპირველად, ი. კ.-სთან არ შეთანხმებულა იმის თაობაზე, რომ საქმის წარმოებას დაასრულებდა კონკრეტულად სამ თვეში, არამედ შეუთანხმდა, რომ შეეცდებოდა მოკლე ვადაში დაესრულებინა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას უკვე ძირითადი იურიდიული მოქმედებები შესრულებული აქვს ი. კ.-ს საქმის თაობაზე, მაგრამ ვინაიდან მან ხელწერილით გათვალისწინებულ ვადაში ვერ დაასრულა საქმის წარმოება, ის აპირებს საჩივრის ავტორს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი.

2.5 ადვოკატმა ნ. კ.-მ 2019 წლის 30 ივლისს განხილივს კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორს გადასცა საქმის მასალები და განმარტა, რომ მისთვის გადახდილ ჰონორარს ი. კ.-ს დაუბრუნებდა 2019 წლის 09 სექტემბრამდე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 კოლეგიამ მიიჩნია, საქმის განხილვის ეტაპზე მიიჩნია, რომ ვინაიდან, ადვოკატს არ დაუბრუნებია საჩივრის ავტორისთვის მიღებული საქმის მასალები და მიღებული ჰონორარი შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს მიღებული დოკუმენტების და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ“) 8.15 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1.1 ი. კ.-სა და ადვოკატ ნ. კ.-ს შორის გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა „ი. კ.-ს ინტერესების დაცვა ქალაქ ქუთაისის მერიაში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, საერთო ინსტანციის სასამართლოში საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2016 წლის 20 ივლისის „შეთანხმება #54”;

4.1.2 ადვოკატმა ნ. კ.მ საჩივრის ავტორისგან ჰონორარის სახით მიიღო 1000 ლარი, ხოლო დამატებით 220 ლარი სასამართლოში საქმისწარმოებისთვის და საქმის მასალები ორიგინალი სახით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2016 წლის 20 ივლისის „შეთანხმება #54“;
2. 2016 წლის 25 ივლისის საბანკო გადარიცხვის ქვითარი;
3. 2017 წლის 15 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტი: ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ ი. კ.-სგან მიღებული დოკუმენტების ჩამონათვალი;
4. 2017 წლის 25 ოქტომბრის ადვოკატ ნ. კ.-ს ხელწერილი;

4.1.3 საადვოკატო მომსახურების განხორციელების პერიოდში, ნ. კ.-მ იკისრა შემდეგი ვალდებულება: იმ შემთხვევაში, თუ 2017 წლის 30 დეკემბრამდე ვერ დაასრულებდა ი. კ.-ს სამოქალაქო საქმეს, ის დაუბრუნებდა მიღებულ ჰონორარს - 1225 ლარს ი. კ.ს სრულად - 2017 წლის 31 დეკემბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
2017 *წლის 25 ოქტომბრის ხელწერილი;*

4.1.4 2019 წლის 30 ივლისს ადვოკატმა ნ. კ.-მ ეთიკის კომისიის სხდომაზე ი. კ.-ს სრულად დაუბრუნა საქმის მასალები ორიგინალი სახით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
2018 *წლის 30 ივლისის ეთიკის კომისიის სხდომის აუდიო ჩანაწერი;*

4.1.5 ადვოკატ ნ. კ.-ს არ დაუბრუნებია მიღებული ჰონორარი - 1220 ლარი.
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

კომისია ეყრდნობა ფაქტის უარყოფის მტკიცების ტვირთის მითითებას და ასევე, ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ ზეპირი ფორმით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას;

ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ მან დაუბრუნა საჩივრის ავტორს ჰონორარი. 2019 წლის 19 სექტემბერს ადვოკატ ნ. კ.-ს ჩაბარდა ეთიკის კომისიის წერილობითი მიმართვა, იმისათვის, რომ მას კომისიისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია დაუბრუნა თუ არა თანხა საჩივრის ავტორს, მის მიერ განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი შეთანხმების შესაბამისად. ადვოკატს ეთიკის კომისიისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით და ეთიკის კომისიის აპარატის მცდელობის მიუხედავად, ვერც სატელეფონო კომუნიკაცია შედგა მასთან.

საქმეში წარმოდგენილია საჩივრის ავტორის განმარტება, რომლის მიხედვით, ადვოკატს მისთვის არ დაუბრუნებია ჰონორარი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ადვოკატმა ნ. კ.-მ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისთვის საჩივრის ავტორისგან მიღებული გამოუმუშავებელი ჰონორარი არ დააბუნა, რის გამოც ადვოკატმა დაარღვია შემდეგი მუხლი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

6.2 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №038/16 ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“.

6.3 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ “ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას,

გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.

6.4 დასტურდება, რომ 2016 წლის 20 ივლისს საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმდნენ საჩივრის ავტორი და ადვოკატი ნ. კ. და ამავე დღეს, ი. კ.-მ გააფორმა მინდობილობა ადვოკატის სახელზე (იხ. პარაგრაფები - 1.2; 2.1). ამავე თარიღით, მხარეთა შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების თაობაზე „შეთანხმება #54” (ს.ფ.16) რომლის მიხედვითაც, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა „ი. კ.-ს ინტერესების დაცვა ქალაქ ქუთაისის მერიაში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, საერთო ინსტანციის სასამართლოში საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით“. ამავე შეთანხმებით, მხარეთა პოზიციებითა და საქმეში წარმოდგენილი საბანკო გადარიცხვით დასტურდება, რომ ადვოკატს საჩივრის ავტორისგან მიღებული აქვს საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით - 1225 ლარი.

6.5 ადვოკატი არ იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მან არაფერი გააკეთა მისი საქმის თაობაზე და ჩამოთვალა ის მოქმედებები, რაც განახორციელა (იხ.პარაგრაფი - 2.2.), თუმცა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მან ვერ შეძლო კლიენტთან შეთანხმებულ დროში დაესრულებინა საქმისწარმოება, რის გამოც, 2017 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებულ ხელწერილში მიუთითა, რომ საჩივრის ავტორს დაუბრუნებდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრული ოდენობით ჰონორარს, იმ შემთხვევაში, თუ ამ დრომდე ის ვერ შეძლებდა საქმისწარმოების დასრულებას.

6.6 კომისია, იზიარებს დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიციას და აღნიშნავს, რომ მართალია, მორიგების ხელშეწყობა ზოგადად არ შედის კომისიის ვალდებულებების ჩამონათვალში, თუმცა გამომდინარე საჩივრის ავტორის ძირითადი უფლების - დაცვის უფლების რეალიზაციაში ხელშეწყობის ინტერესიდან, ეთიკის კომისიამ რამდენჯერმე შეაჩერა საქმის განხილვის პროცესი. კერძოდ, კომისიის მიერ საქმის გამოკვლევის მიზნით, ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ 2019 წლის 29 იანვარს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სხდომა გადაიდო 2019 წლის 11 თებერვალს. 2019 წლის 11 თებერვლის სხდომაზე, მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციების და შუამდგომლობის გათვალისწინებით, საქმის განხილვა შეჩერდა ორი თვით, რა პერიოდშიც, ადვოკატ ნ. კ.-ს ი. კ.-ს მიერ გაცემული ახალი მინდობილობის საფუძველზე უნდა წარმოედგინა ქუთაისის მერიაში საჩივრის ავტორის ინტერესები უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, ადვოკატმა 2019 წლის 04 აპრილს კომისიას მიაწოდა წერილობითი პოზიცია იმის თაობაზე, რომ ი. კ.-მ უარი თქვა მინდობილობის გაცემაზე და შესაბამისად, მან ვერ შეძლო მისი საქმისწარმოების დასრულება. ამასთან, ადვოკატმა განმარტა, რომ ის 2019 წლის აპრილიდან შემდგომი 4 თვის განმავლობაში ეტაპობრივად დაუბრუნებდა საჩივრის ავტორს 1220 ლარს.

6.7 საჩივრის ავტორმა ი. კ.-მ უარყო ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ წარმოდგენილი განმარტება რწმუნებულების გაცემის თაობაზე და მიუთითა, რომ ის მზად იყო გაეცა მინდობილობა ადვოკატის სახელზე, თუმცა ადვოკატთან დაკავშირებას ვერ ახერხებდა, ამასთან, თანახმა იყო ადვოკატ ნ. კ.-ს მიერ თანხის ეტაპობრივად დაბრუნების შეთავაზებაზე - კერძოდ, ადვოკატს დაებრუნებინა მისთვის გადახდილი 1220 ლარი ეტაპობრივად, 4 თვის მანძილზე. მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციების გათვალისწინებით, განხილვის კოლეგიამ გადადო 2019 წლის 05 აპრილის სხდომა და საქმის განილვა შეაჩერა 2019 წლის მაისის თვემდე.

6.8 ადვოკატი ნ. კ. არ გამოცხადდა 2019 წლის 24 ივლისს გამართულ ეთიკის კომისიის სხდომაზე და გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე აცნობა ეთიკის კომისიის აპარატს, რაც ეხებოდა ქუთაისიდან მისი სხდომაზე წამოსვლის დროს გზაში შეფერხებას, რის გამოც ეთიკის კომისიამ საქმის გამოკვლევის მიზნით და იმისათვის, რომ ადვოკატს კვლავ მისცემოდა შესაძლებლობა წარმოედგინა თავისი პოზიცია - სხდომა გადადო. ადვოკატმა 2019 წლის 30 ივლისს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ის 2019 წლის 09 სექტემბრამდე საჩივრის ავტორს ანგარიშზე ჩაურიცხავდა მისთვის გადახდილ ჰონორარს სრულად, რის გამოც კომისიამ კვლავ შეაჩერა საქმის განხილვა, თუმცა ადვოკატს აღნიშნული თანხა საჩივრის ავტორისთვის არ დაუბრუნებია.

6.9 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიამ უნდა იმსჯელოს ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომაზე. ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებულ ზიანი, კლიენტისათვის მიყენებულ ზიანი, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები.

6.10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ: ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.”

6.11 მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს და აქედან გამომდინარე, არსებულ ზიანს, მათ შორის ადვოკატის დამოკიდებულებას დარღვეული ქმედების მიმართ. კერძოდ, ადვოკატი თავად განმარტავს, რომ მას უნდა დაებრუნებინა ჰონორარი საჩივრის ავტორისთვის, რადგან მის მიერ არ იყო განხორციელებული საადვოკატო მომსახურება მიღებული ჰონორარის პროპორციულად, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისათვის შემამსუბუქებელი გარემოება იქნებოდა, თუმცა ადვოკატმა არ შეასრულა პირობა და არ დაუბრუნა საჩივრის ავტორს ჰონორარი, მათ შორის კომისიისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია ჰონორარის შეთანხმებულ დროში დაუბრუნებლობის თაობაზე (იხ. პუნქტი 5.1.4), ადვოკატს არ გაუცია პასუხი კომისიის მიერ გაგზავნილ მიმართვაზე. ეთიკის კომისიის აპარატმა განხილვის კოლეგიის დავალებით, არაერთხელ სცადა კომუნიკაცია ადვოკატთან, რომ მიეღო ინფორმაცია, დაუბრუნა თუ არა ჰონორარი საჩივრის ავტორს, თუმცა მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა და ადვოკატს წერილობით არ უპასუხია ეთიკის კომისიის მიერ 2019 წლის 11 სექტემბერს მისთვის გაგზავნილ წერილზეც (იხ. პუნქტი: 4.1.5).

6.12 კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ასევე გასათვალისწინებელია ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავს დარღვევებზე. ეთიკის კომისიამ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით დაადგინა აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევა და განმარტა, რომ „თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ

შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერი თანხის ოდენობის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა", რისი გათვალისწინებითაც მოცემულ საქმეზე განისაზღვრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება (დისციპლინური საქმე N098/17 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება).

6.13 ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა 8.15 მუხლის დარღვევა, რა დროსაც, ადვოკატს არ დაუბრუნებია ჰონორარი კლიენტისთვის და შესაბამისად, დამდგარი ზიანის გათვალისწინებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა - გაფრთხილება. (იხ. პუნქტი 6.2; 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №038/16).

6.14 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება."

6.16 ეთიკის კომისიამ ადვოკატისთვის სახდელის – გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული გარემოებებით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავსი ტიპის დისციპლინური გადაცდომების მიმართ და პროპორციულად ჩათვალა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

6.17 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 35-ე, მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №015/18 ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართ /სიითი№1562/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ნ. კ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/